საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს,

ასლები: ადამიანის უფლებათა დაცვისა და
სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონო სოფო კილაძეს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ აკაკი ზოიძეს

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
კონსტიტუციის 42-ე მუხლის,
ღია საზოგადოების ფონდის
სოლიდარობის ქსელი-მშრომელთა ცენტრის,
ახალგაზრდა სოციალისტების
თანასწორობის მოძრაობა
საქართველოს ახალგაზრდა მწვანეების
კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნის თაობაზე)

ბატონ ირაკლი,

წინამდებარე განცხადების ხელმომწერი ორგანიზაციები მოგმართავთ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს 2006 წლიდან დღემდე, ტყიბულში შპს „საქნახშირი ჯიაიჯი ჯგუფის“ მფლობელობაში არსებულ შახტებში ადამიანის სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების გამომწვევ ყველა საწარმოო შემთხვევაზე მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის და ობიექტურობის საკითხს. ვფიქრობთ, საგამოძიებო კომისიამ უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ საწარმოს სხვადასხვა დონის მენეჯმენტის სამართლებრივი

პასუხისმგებლობის, არამედ ამ საქმეების გამოძიების პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლების მიერ სავარაუდო სამოხელეო თუ სხვა დანაშაულის ჩადენის საკითხი, რაც კერძო კომპანიის შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ მაღალ ლოიალობასა და ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების სტანდარტების დაუცველობაში ან სხვა სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაში გამოიხატა.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2018 წლის 17 ივლისს გამთენიისას, ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტში კიდევ ერთი საწარმოო შემთხვევა მოხდა, რომლის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 6 მათგანი მძიმედ დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შემთხვევა მინდელის შახტის იმავე უბანზე მოხდა, სადაც მიმდინარე წლის 5 აპრილს 6 მეშახტე დაიღუპა. გასულ 3 თვეში, ეს შახტებში მომხდარი მესამე საწარმოო შემთხვევაა, რომელმაც 10 ადამიანის დაღუპვა და 11 ადამიანის მძიმედ დაშავება გამოიწვია. 2006 წლიდან მოყოლებული დღემდე შახტებში დაფიქსირებულია ათეულობით საწარმოო შემთხვევა, რომელსაც რამდენიმე ათეული დასაქმებულის დაღუპვა და მძიმე დაზიანება მოჰყვა.

ტყიბულის შახტებში ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები 2006 წლიდან განახლდა, სადაც ქვანახშირის მოპოვების მიზნით ოპერირებს შპს „საქნახშირი ჯიაიჯი ჯგუფი“. 2009 წელს კი ექსპლუატაციაში შევიდა ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა. ოფიციალური მონაცემებით, 2011 წელს საქნახშირმა 350,000 ტონა ქვანახშირი, ხოლო 2012 წელს 500 000 ტონა ქვანახშირი მოიპოვა. [1]

2006 წლიდან დღემდე კომპანიის მფლობელობაში არსებულ შახტებში მწვავედ დგას შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობის პრობლემა, რაც განგრძობადად განაპირობებს დასაქმებულების დაღუპვას, მძიმედ დასახიჩრებას, უმძიმესი პროფესიული დაავადებების განვითარებას, შრომითი ექსპლუატაციასა თუ ღირსების შემლახავ პირობებში შრომას. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შპს „საქნახშირი ჯიაიჯი ჯგუფის“ კუთვნილ მინდელისა და ძიძიგურის სახელობის ქვანახშირის სამთო-მომპოვებელ შახტები, ასევე საწარმოს მფლობელობაში არსებულ გამამდიდრებელ ფაბრიკები დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და პირობების დაცვის კუთხით ორჯერ, 2016 და 2017 წლებში განახორციელა ინსპექტირება. გამოვლენილი დარღვევებისა და გაცემული რეკომენდაციების ანალიზი აჩვენებს,

[1] „ტყიბულის ქვანახშირის მაღარო და მასთან დაკავშირებული პრობლემები“, ააიპ „მწვანე ატერნატივა“, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/1AaDuEI , ბოლოს ნანახია: 17.07.2018

საწარმოში უსაფრთხოებისა და დასაქმებულთა შრომის პირობების დაცვის კუთხით არსებული მწვავე პრობლემების სისტემურობასა და მასშტაბს.[2]

შახტებში დასაქმებულთა დაღუპვისა და დასახიჩრების შემთხვევები და მათი განმეორებადობა მიუთითებს, რომ სახეზეა არა ერთეული და საგამონაკლისო საწარმოო შემთხვევები, არამედ დასაქმებულთა უფლებების შემლახავი განგრძობადი და სისტემური პრაქტიკა, რასაც სათანადოდ ვერ პასუხობს არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა. შექმნილი პრაქტიკა აჩენს მნიშვნელოვან შეკითხვებს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ეფექტიან მუშაობასთან მიმართებით შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევით შედეგად დასაქმებულთა სიცოცხლის ხელყოფის, თუ ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებზე.

2017 წლის განმავლობაში, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ დაწყებული გამოძიების 128 შემთხვევიდან სასამართლოში წარიმართა მხოლოდ 11 საქმე, გამოძიება შეწყდა 36 შემთხვევაში, 81 შემთხვევაში გამოძიება დღემდე მიმდინარეობს. ხოლო წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტებთან დაკავშირებით 90 საქმის ფარგლებში რეალური სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა მხოლოდ 3 შემთხვევაში. საქმეთა 72,2% არსებითი განხილვის გარეშე დასრულდა საპროცესო შეთანხმების დადებით. დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მერყეობს 500-დან 5000 ლარამდე.[3]

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის საქმიანობის არაეფექტიანობა განსაკუთრებულად ცხადია ტყიბულის შახტებში მომხდარ შემთხვევებთან მიმართებით, რომელთა სიმძიმის, მასშტაბისა და წლების მანძილზე განმეორებადობის მიუხედავად, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მშრომელების დაღუპვისა და დაზიანების შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში არ დამდგარა შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, მათ შორის, არცერთ შემთხვევაზე ამ დრომდე გამოძიებას არ შეუსწავლია და დაუდგენია საწარმოს მმართველებისა და სხვადასხვა მენეჯერული რგოლის წარმომადგენლების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც გამოძიების

---

[2] „ტყიბულის შახტებში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და პირობების დაცვის კუთხით ჩატარებული ინსპექტირების ანგარიშების მიმოხილვა“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2JkzsFH , ბოლოს ნანახია: 17.07.2018

[3] მონაცემები 2015 წლის იანვრიდან 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი, გვ.198, http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf

ეფექტიანობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვებს აჩენს და ის დაუყოვნებლივ შესწავლასა და შეფასებას საჭიროებს.

საქართველოს კონსტიტუციის 56-ე და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 55-ე მუხლები ითვალისწინებენ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების შესასწავლად.

სოციალურად და ეკონომიკურად ყველაზე დაუცველი ჯგუფების სიცოცხლის, უფლებების და ინტერესების დაცვის სფეროში სისხლის სამართლის პოლიტიკის აშკარა ინდიფერენტულობა და უსამართლობა, სამართალდაცვით პოლიტიკაში სოციალური იერარქიების ღრმა პრობლემაზე უთითებს და ის სოციალურად გარიყული ჯგუფებისთვის სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობას არსებითად ასუსტებს. ტყიბულში არსებული სოციალური კატასტროფის მასშტაბისა და მისი გამოწვევები სისტემური ეკონომიკური და სოციალური მიზეზების, ასევე, ადგილობრივების სოციალური სასოწარკვეთისა და უიმედობის გათვალისწინებით, არსებითია პარლამენტმა გაიაზროს საკითხის მწვავე საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მის ხელთ არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტები ეფექტიანად გამოყენოს ამ პროცესში. დროებითი საგამოძიებო კომისიის ფარგლებში მსგავსი საკითხების შესწავლა პარლამენტის სათანადო სოციალურ მგრძნობელობასა და სამართლიან პრიორიტეტებზე მიუთითებდა, რაც ტყიბულში და სხვა რეგიონებში გაჩენილი სოციალური ფრუსტრაციის ფონზე ადეკვატურ პოლიტიკურ ნაბიჯად განიხილება საზოგადოების მიერ.

ზემოთ წარმოდგენილი შეფასებებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის საქმიანობაში გამოკვეთილი განგრძობადი უმოქმედობის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, დაუყოვნებლივ შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს:

1. 2006 წლიდან დღემდე ტყიბულში შპს „საქნახშირი ჯიაიჯი ჯგუფის“ მფლობელობაში არსებულ შახტებში მომხდარ ყველა იმ საწარმოო შემთხვევაში კომპანიის ხელმძღვანელი და სხვადასხვა რგოლის მართვაზე პასუხისმგებელი პირების

სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, რომელსაც საწარმოში დასაქმებული პირების სიცოცხლის მოსპობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მოჰყვა;

2. მითითებულ საქმეებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლების, მათ შორის, შესაბამისი თანამდებობის პირების მხრიდან გამოვლენილი უმოქმედობის, შესაძლო სამოხელეო თუ სხვა დანაშაულის ფაქტებს.